სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლეილა სულავა

არაწრფივი სოციალური პროცესების მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირება

ინფორმატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი 2016

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **თემურ ჩილაჩავა**

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის მიმართულების პროფესორი, საქართველოს საბუნებისმეტყველო და განათლების მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ექსპერტები: **ზურაბ გეგეჭკორი**

მათემატიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

თეოდორე ზარქუა

ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ოფიციალური რეცენზენტები: **ჰამლეტ მელაძე**

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი.

თამაზ ობგაძე

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ხელსაწყოთმშენებლობის ავტომატიზაციისა და მართვის სისტემების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2016 წლის საათზე სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.
მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №9, IV სართული, საპრეზენტაციო ოთახი.
სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, გამოყენებითი მათემატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი **ციალა ძიძიგური**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა

კაცობრიობა ინტელექტუალურ განვითარებასთან და დაგროვილ ცოდნასთან ერთად იცვლის თავის შეხედულებას მის გარშემო არსებულ სამყაროს აგებულებაზე - ანუ განვითარებასთან ერთად მუდმივად იცვლება სამყაროს მოდელი.

სინერგეტიკა (ერთობლივი ქმედება) ანუ თვითორგანიზების თეორია, დღეისათვის საგანთა-შორისო კავშირების კვლევის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და პერსპექტიული მიდგომაა. სინერ-გეტიკამ გაიარა დიდი და რთული გზა. თითქმის ორმოცი წლის წინ მას უყურებდნენ როგორც ფიზიკოს-თეორეტიკოსების გასართობს, რომლებმაც ბევრ არაწრფივ მოვლენაში ნახეს მსგავსება. ოცი წლის წინათ კი სინერგეტიკის კონცეფციების, მეთოდების, წარმოდ-გენების წყალობით აღმოჩენილი იყო ბევრი შესანიშნავი მოვლენა ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, ჰიდროდი-ნამიკაში. ახლა ეს დისციპლინათაშორისი მიდგომა სულ უფრო გამოიყენება სტრატეგიულ დაგეგმარებაში, ისტორიული ალტერნატივების ანალიზის დროს, კაცობრიობის წინაშე მდგარი გლობალური პრობლემების გადაჭრის გზების პოვნაში და ა.შ.

მსოფლიოში მაღალი ტემპით მიმდინარე გლობა-ლურმა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა და კაცობრიობის ინფორმატიზაციამ განაპირობა ისეთი მძლავრი მიმართულების შექმნა, როგორიცაა მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირება.

სინერგეტიკამ მძლავრი ბიძგი მისცა მათემატიკური მოდელების გამოყენებას სოციალურ მეცნიერებებში: სოციოლოგიაში, ისტორიაში, დემოგრაფიაში, პოლიტოლოგიაში, კონფლიქტოლოგიაში და სხვა.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, აქტუალური გახდა ისეთი სოციალური პროცესის შესწავლა, როგორიცაა სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციული მართვა. ადმინისტრაციული მართვის მათემატიკური მოდელი პირველად შემოთავაზებული იქნა პროფ. თ. ჩილაჩავას მიერ.

სახელმწიფო მართვის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ისეთი სოციალური პროცესის აღწერა მათემატიკურ ენაზე (მათემატიკური მოდელის შექმნა), როგორიც არის პოლიტიკური არჩევნები. ბევრი მეცნიერი შეეხო ამ თემატიკას, მაგრამ, ძირითადად, მათ ინტერესს წარმოადგენდა უკვე ჩატარებული არჩევნების შედეგების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.

უაღრესად აქტუალურია ისეთი მათემატიკური მოდელის შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ პოლიტიკური სუბიექტების მომხრეთა რაოდენობის დინამიკა საარჩევნო პერიოდში არჩევნების შედეგების შესაძლო პროგნოზირებით.

ამ მიმართულებით ორ და სამპარტიული არჩევნების არაწრფივი მათემატიკური მოდელები პირველად შემოთავაზებულ იქნა ნაშრომებში

- Chilachava T.I. Nonlinear mathematical model of dynamics of voters of two political subjects. Seminar of I.Vekua Institute of Applied Mathematics, Reports, 2013, vol. 39, pp. 13 - 22.
- Чилачава Т.И. Нелинейная математическая модель динамики избирателей проправительственной и оппозиционной партий (двух избирательных субъектов). Basic paradigms in science and technology. Development for the XXI century. Transactions II, 2012, стр. 184 –188.
- Чилачава Т.И. Нелинейная трехпартийная математическая модель выборов. Проблемы управления безопасностью сложных систем. Труды XXI Международной конференции, Москва, 2013, стр. 513 - 516.

მართვისა და არჩევნების მოდელები მეტად აქტუალურია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. დაინტერესებულ სუბიექტებს საშუალება ეძლევათ ფართოდ გამოიყენონ მიღებული შედეგები, გათვალონ პარამეტრები და მომავალში აირჩიონ სტრატეგია მათთვის სასურველი მიზნის მისაღწევად.

კვლევის ობიექტი და მიზანი

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მთავარი მიზანია ვაჩვენოთ მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირების გამოყენების მნიშვნელობა სოციოლოგიაში. კერძოდ, შეიქმნას მათემატიკური და

კომპიუტერული მოდელები ისეთი სოციალური პროცესების აღწერისთვის, როგორიცაა ადმინისტრაციული მართვა და პოლიტიკური არჩევნები, რომლებსაც ექნებათ გამოყენება პრაქტიკაში.

დისერტაციის კვლევის ობიექტს წარმოადგენს აღნიშნული მოდელების შესწავლა სხვადასხვა საწყისი პირობებისა და მოდელების პარამეტრების შემთხვევაში.

დასახული მიზნის მისაღწევად ნაშრომში დიფერენციალური განტოლებათა სისტემების მათემატიკური თეორიის, რიცხვითი და კომპიუტერული მეთოდების გამოყენებით ხდება იმ დასმული ამოცანების შესწავლა, რაც დაკავშირებულია გამოსაკვლევი მოდელების ანალიზთან.

მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

1. ცვლადი ადმინისტრაციული მართვის შემთხვევაში კოშის ამოცანა არაწრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის ამოხსნილია ანალიზურად ზუსტად. მოდელის პარამეტრებისა და საწყის პირობებს შორის სხვადასხვა დამოკიდებულებების მიხედვით მიღებულია მართვის განსხვავებული რეჟიმები. ადმინისტრაციული მართვის არაწრფივი მათემატიკური მოდელის ცვლადი პარამეტრებით კერძო შემთხვევისათვის ნაპოვნია ზუსტი ანალიზური ამონახსნი, ხოლო ზოგად შემთხვევაში მიღებულია რიცხვითი ამოხსნები.

2. განხილულია ორპარტიული არჩევნების ზოგადი არაწრფივი მათემატიკური მოდელი არჩევნებზე ამომრჩევლების გამოცხადების სხვადასხვა მაჩვენებლის, ე.წ. დემოგრაფიული ფაქტორის (არჩევნებიდან არჩევნე-

ბამდე საერთო ამომრჩეველთა რაოდენობის ცვლილება) და შესაძლო ფალსიფიცირების გათვალისწინებით. განხილულია შემთხვევა, როცა არჩევნებიდან არჩევნებამდე მმართველი და ოპოზიციური პარტიების ხმების მოზიდვის კოეფიციენტები არის დროის ექსპონენციალურად ზრდადი ფუნქციები, ხოლო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფუნქციისათვის განხილულია სამი შემთხვევა: როცა ეს ფუნქცია მუდმივია; როცა ეს ფუნქცია წრფივია და პროპორციულია ოპოზიციური პარტიის ამომრჩეველთა რაოდენობისა; როცა ეს ფუნქცია ექსპონენციალურად ზრდადია. კომპიუტერული მოდელირების მეშვეობით მიღებულია რიცხვითი ამოხსნები.

3. განხილულია სამპარტიული არჩევნების ახალი ზოგადი არაწრფივი მათემატიკური მოდელი ცვლადი კოეფიციენტებით და დემოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით, რომელიც აღწერს მმართველი და ორი ოპოზიციური პარტიების ამომრჩეველთა რაოდენობის დინამიკას არჩევნებიდან მორიგ არჩევნებამდე. დემოგრაფიის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე, სამსუბიექტიანი არჩევნების არაწრფივი მოდელის მუდმივი კოეფიციენტების შემთხვევაში, მიღებულია ზუსტი ანალიზური ამონახსნი. ნაპოვნია პირობები, რომლის შესრულების შემთხვევაში მოდელი იქნება არატრივიალური (როდესაც არჩევნების შედეგები წინასწარ არ არის ცხადი).

4. სამსუბიექტიანი არჩევნების ზოგადი არაწრფივი მათემატიკური მოდელისათვის ამომრჩეველთა ხმების მოზიდვის კოეფიციენტების, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტორისა და დემოგრაფიული კოეფიციენტების ექსპონენციალურად ზრდადი

ფუნქციების შემთხვევაში ჩატარებულია კომპიუტერული მოდელირება. მიღებულია რიცხვითი ამოხსნები, გაკეთებულია შედეგების ვიზუალიზაცია.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის ძირითადი შედეგები მოხსენებული იყო ექვს საერთაშორისო და ერთ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებზე:

1. აკადემიკოს ი. ფრანგიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა“, თბილისი, 2010.
2. საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმი, 2010.
3. XVIII საერთაშორისო კონფერენცია „რთული სისტემების უსაფრთხოების მართვის პრობლემები“, მოსკოვი, 2010.
4. პროფ. რ. აბსავას 65 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2012.
5. XXIII საერთაშორისო კონფერენცია „რთული სისტემების უსაფრთხოების მართვის პრობლემები“, მოსკოვი, 2015.
6. აკადემიკოს ი. ფრანგიშვილის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა“, თბილისი, 2015.

7. საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმი, 2015.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავალის, სამი თავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან და სამი დანართისაგან. სულ ნაშრომი მოიცავს 172 გვერდს. დანართში მოცემულია 61 ლისტინგი. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა მოიცავს 125 დასახელებას.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

შესავალში განხილულია სადისერტაციო თემის აქტუალობა, მოცემულია კვლევითი თემის გარშემო ლიტერატურის მიმოხილვა, თავების მიხედვით მოკლედ აღწერილია მიღებული შედეგები და მათი პრაქტიკული მნიშვნელობები.

პირველ თავში დასმულ ამოცანას წარმოადგენდა ისეთი სოციალური პროცესის აღწერა მათემატიკურ ენაზე (მათემატიკური მოდელის შექმნა), როგორიც არის ადმინისტრაციული ზეწოლა, რომელიც შეიძლება ხორციელდებოდეს მაკროდონეზე (სახელმწიფო ან მისი დიდი რეგიონი, მაკრომოდელი) ან მიკროდონეზე (სასწავლო დაწესებულება, საწარმო ობიექტი და სხვა, მიკრომოდელი) მრავალფეროვანი იდეოლოგიური და ტექნოლოგიური საშუალებებით. მათემატიკურ მოდელში განიხილება სამი ობიექტი:

1. ადმინისტრაცია (მმართველი სტრუქტურები, ხელისუფლება), რომლის მიზანს მიკრო ან მაკროდონეზე წარმოადგენს მის დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანების მართვა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ინტერესები შეიძლება იყოს როგორც სამართლიანი (დემოკრატიული მართვა) ისე უსამართლო (არადემოკ-რატიული მართვა).

2. კონფორმისტები, რომლებიც ეგუებიან მმართველ ადმინისტრაციას.

3. თავისუფლად მოაზროვნეები, ანუ არამართვადი ადამიანები, რომლებიც, მიუხედავად ადმინისტრაციული ზეწოლისა, რჩებიან თავისუფალნი თავის არჩევანში ან მოქმედებაში.

ადმინისტრაციული მართვის ზოგადი მათემა-ტიკური მოდელი შემოთავაზებულია შემდეგი სახით:

$$\begin{cases} \dfrac{dx(t)}{dt} = \alpha(t)x(t)y(t) - \beta(t)x(t) \\ \dfrac{dy(t)}{dt} = -\alpha(t)x(t)y(t) + \beta(t)x(t) \end{cases} \qquad (1.1)$$

$$x(0) = x_0 \quad y(0) = y_0,$$

სადაც

$x(t)$ - დროის t მომენტში თავისუფლად მოაზროვნე (არამართვადი) ადამიანების რაოდენობაა, $t \in [0,T], T < \infty$;

$y(t)$ - დროის t მომენტში კონფორმისტების (მართვადი ადამიანების) რაოდენობაა;

$\alpha(t) > 0$ - თავისუფლების კოეფიციენტია t მომენტში;

$\beta(t) > 0$ - წრფივი ადმინისტრაციული ზეწოლის უწყვეტი დადებითი ფუნქციაა, რომლითაც ხასიათდება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მასშტაბი.

პირველი თავის პირველ პარაგრაფში მოცემულ არაწრფივ მათემატიკურ მოდელში (1.1) ადმინისტრაციულ ზეწოლას აქვს მუდმივი ხასიათი და ის არ არის დამოკიდებული დროზე. მოდელის განხილვის პერიოდში ადამიანთა ორივე ჯგუფის ე.წ. დემოგრაფიული ცვლილებები არ არის გათვალისწინებული: მაკრომოდელის შემთხვევაში ჩათვლილია, რომ შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტები ტოლია, ხოლო მიკრომოდელის შემთხვევაში დაწესებულებაში თანამშრომლების შემოდინების და გადინების კოეფიციენტები ერთმანეთის ტოლია.

მოდელი არის უწყვეტი და საძიებელ ფუნქციებს გააჩნიათ სისტემაში შემავალი პირველი რიგის უწყვეტი წარმოებულები. მოდელის პარამეტრებისა (აქტიურობის ხარისხის მაჩვენებელი ანუ თავისუფლების კოეფიციენტი, წრფივი ადმინისტრაციული ზეწოლის მაჩვენებელი) და საწყის პირობებს შორის სხვადასხვა დამოკიდებულებების მიხედვით მიღებულია რამოდენიმე განსხვავებული შემთხვევა.

პირველი თავის მეორე პარაგრაფში განხილულია ადმინისტრაციული მართვის არაწრფივი მათემატიკური მოდელი, რომელსაც შეუძლია აღწეროს მოცემულ სოციუმში მმართველი სტრუქტურების მხრიდან მზარდი ადმინისტრაციული ზეწოლა ადამიანებზე მათი მოქმედებების გაკონტროლების მიზნით. მათემატიკური მოდელი აღიწერება ორუცნობიანი (თავისუფლად მოაზროვნეების და კონფორმისტების რაოდენობა დროის

t მომენტში) არაწრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემით. ცვლადი ადმინისტრაციული ზეწოლის პირობებში კოშის ამოცანა არაწრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის ამოხსნილია ანალიზურად ზუსტად. მოდელის პარამეტრებისა (აქტიურობის ხარისხის მაჩვენებელი, წრფივი ადმინისტრაციული ზეწოლის მაჩვენებელი) და საწყის პირობებს შორის სხვადასხვა დამოკიდებულებების მიხედვით მიღებულია რამოდენიმე განსხვავებული შემთხვევა.

პირველი თავის მესამე პარაგრაფში განხილულია ადმინისტრაციული მართვის ზოგადი არაწრფივი მათემატიკური მოდელი (1.1), რომელიც აღწერს მმართველი სტრუქტურების მხრიდან მზარდ ადმინისტრაციულ ზეწოლას, ყველა კოეფიციენტის ცვლადობის შემთხვევაში. კერძო შემთხვევისთვის ნაპოვნია ზუსტი ანალიზური ამონახსნი:

$$x(t)=x_1+\frac{1}{w(t)}$$
$$y(t)=a-\left(x_1+\frac{1}{w(t)}\right),$$

სადაც

$$w(t)=e^{(b+2x_1)\int_0^t \alpha(\tau)d\tau}\left(w_0+\int_0^t e^{-(b+2x_1)\int_0^\tau \alpha(\mu)d\mu}\alpha(\tau)d\tau\right)$$

$$x_0+y_0=a,\ \ \beta(t)=b\alpha(t), b>0, b=const$$

$$x_1=\frac{-b+\sqrt{b^2+4a}}{2},\ w_0=\frac{1}{x_0-x_1},\ x_0\neq x_1.$$

პირველი თავის მეოთხე პარაგრაფში ზოგადი არაწრფივი მათემატიკური მოდელისათვის განხილულია ორი შემთხვევა :

ა) თავისუფლების კოეფიციენტები და ადმინისტრაციული ზეწოლის ფუნქციები არიან დროის ექსპონენციალურად ზრდადი ფუნქციები. მაშინ სისტემა (1.1) მიიღებს სახეს:

$$\begin{cases} \dfrac{dx(t)}{dt} = \alpha_0 e^{\delta \frac{t}{T}} x(t)y(t) - \beta_0 e^{\gamma \frac{t}{T}} x(t) \\ \dfrac{dy(t)}{dt} = -\alpha_0 e^{\delta \frac{t}{T}} x(t)y(t) + \beta_0 e^{\gamma \frac{t}{T}} x(t) \end{cases} \tag{1.2}$$

$$x(0) = x_0 \quad y(0) = y_0$$

$$\alpha_0 > 0, \beta_0 > 0, \delta > 0, \gamma > 0.$$

ბ) თავისუფლების კოეფიციენტები და ადმინისტრაციული ზეწოლის ფუნქციები ხარისხოვანია. მაშინ სისტემა (1.1) მიიღებს სახეს:

$$\begin{cases} \dfrac{dx(t)}{dt} = \alpha_0 (\dfrac{t+t_0}{T})^n x(t)y(t) - \beta_0 (\dfrac{t+t_0}{T})^k x(t) \\ \\ \dfrac{dy(t)}{dt} = -\alpha_0 (\dfrac{t+t_0}{T})^n x(t)y(t) + \beta_0 (\dfrac{t+t_0}{T})^k x(t) \end{cases} \tag{1.3}$$

$$x(0) = x_0 \quad y(0) = y_0, n, k \in N .$$

რიცხვითი ამოხსნისათვის გამოყენებულია პროგრა-მული გარემო MATLAB. ჩატარებულია მრავლობითი რიცხვითი ექსპერიმენტი შესაბამისი გრაფიკული გამოსახვით.

მეორე თავში განხილულია ორპარტიული არჩევნების არაწრფივი მათემატიკური მოდელი დემოგრაფიული ფაქტორის (არჩევნებიდან არჩევნებამდე საერთო ამომრჩეველთა რაოდენობის ცვლილება), მოდელის ყველა კოეფიციენტის ცვალებადობის, ამომრჩევლების სხვადასხვა აქტივობის და შესაძლო ფალსიფიცირების გათვალისწინებით. მოდელი აღწერს მმართველი და ოპოზიციური პარტიების ამომრჩეველთა ხმების რაოდენობის დინამიკას პერიოდში არჩევნებიდან მორიგ არჩევნებამდე. მოდელში განიხილება სამი ობიექტი:

1. სახელმწიფო და ადმინისტრაციული სტრუქტურები, რომლებიც სახელისუფლებო რესურსების გამოყენებით ზეგავლენას ახდენენ ოპოზიციური პარტიის მხარდამ-ჭერ ამომრჩევლებზე, სახელისუფლებო პარტიის მხარეზე გადმოყვანის მიზნით.
2. ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერი ამომრჩევლები.
3. მმართველი პარტიის მხარდამჭერი ამომრჩევლები.

ორპარტიული არჩევნების არაწრფივი მათემატიკუ-რი მოდელის ზოგადი სახე განხილულია შემდეგნაირად:

$$\begin{cases} \dfrac{dN_1(t)}{dt} = (\alpha_1(t) - \alpha_2(t))N_1(t)N_2(t) - f(t, N_1(t)) + \beta_1 N_1(t) \\ \dfrac{dN_2(t)}{dt} = (\alpha_2(t) - \alpha_1(t))N_1(t)N_2(t) + f(t, N_1(t)) + \beta_2 N_2(t) \end{cases} \qquad (2.1)$$

$$N_1(0) = N_{10}, \;\; N_2(0) = N_{20}, \;\; N_{10} < N_{20} \;, \;\; N_1(t), N_2(t) \in C^1[0,T] \qquad (2.2)$$

სადაც $N_1(t), N_2(t)$ - შესაბამისად ოპოზიციური და სახელისუფლებო პარტიების მხარდამჭერ ამომრჩეველთა რაოდენობაა დროის t მომენტში, $t \in [0, T]$;

განტოლებათა სისტემა (2.1) მოცემულია შუალედში $t \in (0, T]$, ხოლო საწყისი (კოშის) პირობები (2.2) $t = 0$ მომენტში;

$t = 0$ - წინა არჩევნების მომენტია, როდესაც ერთ-ერთმა პარტიამ არჩევნები მოიგო და გახდა მმართველი პარტია ($N_{10} < N_{20}$);

$t = T$ - მომდევნო არჩევნების მომენტია (ხშირ შემთხვევაში $T = 4$ წელს ან 1460 დღეს);

$\alpha_1(t), \alpha_2(t)$ - შესაბამისად ოპოზიციური და სახელისუფ-ლებო პარტიების ხმების მოზიდვის ცვლადი კოეფიციენტებია t მომენტში, რომლებიც დამოკიდე-ბულია ამ პარტიების სამოქმედო პროგრამებზე, ასევე ფინანსურ, ინფორმაციულ და ტექნოლოგიურ შესაძ-ლებლობებზე.

არატრივიალური მოდელი (როდესაც არჩევნების შედეგები წინასწარ არ არის ცხადი) მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა

$$\alpha_1(t) > \alpha_2(t) > 0, t \in [0, T] .$$

$f(t, N_1(t))$ - თავისი არგუმენტების უწყვეტი დადები-თი ფუნქციაა, რომლითაც ხასიათდება ადმინისტრა-ციული რესურსების გამოყენების მასშტაბი და მიმართულია ოპოზიციური პარტიის ამომრჩევლებზე მათი ხმების მოსაზიდად ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით.

β_1, β_2 – შესაბამისად მხარეების საარჩევნო დემოგრაფი-ული ცვლილებების გათვალისწინების კოეფიციენტებია.

მეორე თავის პირველ პარაგრაფში განხილულია ორპარტიული არჩევნების არაწრფივი მათემატიკური მოდელი დემოგრაფიული ფაქტორის, ასევე მოდელის ყველა კოეფიციენტების ცვალებადობის გათვალისწი-ნებით. განხილულია შემთხვევა, როცა არჩევნებიდან არჩევნებამდე მმართველი და ოპოზიციური პარტიების ხმების მოზიდვის კოეფიციენტები არიან დროის ექსპონენციალურად ზრდადი ფუნქციები, ხოლო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფუნქცი-ისათვის განხილულია სამი შემთხვევა: როცა ეს ფუნქცია მუდმივია; როცა ეს ფუნქცია წრფივია და პროპორცი-ულია ოპოზიური პარტიის ამომრჩეველთა რაოდენობის; როცა ეს ფუნქცია ექსპონენციალურად ზრდადია. შესაბამისად მიღებულია კოშის სამი განსხვავებული ამოცანა:

$$\begin{cases} \dfrac{dN_1(t)}{dt} = (\alpha_{10} e^{\delta_1 \frac{t}{T}} - \alpha_{20} e^{\delta_2 \frac{t}{T}}) N_1(t) N_2(t) - b + \beta_1 N_1(t) \\ \dfrac{dN_2(t)}{dt} = (\alpha_{20} e^{\delta_2 \frac{t}{T}} - \alpha_{10} e^{\delta_1 \frac{t}{T}}) N_1(t) N_2(t) + b + \beta_2 N_2(t) \end{cases}$$

$$\begin{cases} \dfrac{dN_1(t)}{dt} = (\alpha_{10} e^{\delta_1 \frac{t}{T}} - \alpha_{20} e^{\delta_2 \frac{t}{T}}) N_1(t) N_2(t) - b_1 N_1(t) + \beta_1 N_1(t) \\ \dfrac{dN_2(t)}{dt} = (\alpha_{20} e^{\delta_2 \frac{t}{T}} - \alpha_{10} e^{\delta_1 \frac{t}{T}}) N_1(t) N_2(t) + b_1 N_1(t) + \beta_2 N_2(t) \end{cases}$$

$$\begin{cases} \dfrac{dN_1(t)}{dt} = (\alpha_{10}e^{\delta_1 \frac{t}{T}} - \alpha_{20}e^{\delta_2 \frac{t}{T}})N_1(t)N_2(t) - F_0 e^{\delta \frac{t}{T}} + \beta_1 N_1(t) \\ \dfrac{dN_2(t)}{dt} = (\alpha_{20}e^{\delta_2 \frac{t}{T}} - \alpha_{10}e^{\delta_1 \frac{t}{T}})N_1(t)N_2(t) + F_0 e^{\delta \frac{t}{T}} + \beta_2 N_2(t) \end{cases}$$

$$N_1(0) = N_{10}, \quad N_2(0) = N_{20}, \quad N_{10} < N_{20}, \quad N_1(t), N_2(t) \in C^1[0,T].$$

მეორე თავის მეორე პარაგრაფში განხილულია ზოგადი არაწრფივი მათემატიკური მოდელი ამომრჩევლების აქტივობის, დემოგრაფიული ფაქტორის და შესაძლო ფალსიფიცირების გათვალისწინებით.

მეორე თავის მესამე პარაგრაფში ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით მიღებულია რიცხვითი ამოხსნები. გამოთვლებისათვის გამოყენებულ იქნა პროგრამული გარემო MATLAB. სხვადახსვა სასტარტო პირობების მიხედვით მიღებულია რამდენიმე განსხვავებული შედეგი (განსხვავებული მოდელი). შედეგები დემოგრაფიული ფაქტორის გათვალისწი-ნებით გარკვეულწილად განსხვავდება შედეგებისგან, რომლებიც მიღებულია დემოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინების გარეშე.

მესამე თავში განხილულია სამი საარჩევნო სუბიექტის (მმართველი და ორი ოპოზიციური პარტიის) არჩევნების პროცესის დინამიკა არჩევნებიდან არჩევნებამდე. არაწრფივ მათემატიკურ მოდელში, რომელიც აღწერს ამ პროცესს, მონაწილეობს ოთხი ობიექტი:

1. სახელმწიფო და ადმინისტრაციული სტრუქტურე-ბი, რომლებიც მმართვის სახელმწიფო რესურსების გამოყენებით ზეგავლენას ახდენენ ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერ ამომრჩევლებზე სახელისუფ-ლებო პარტიის მხარეზე გადმოყვანის მიზნით (ამავე

დროს აღნიშნული სტრუქტურები, ცხადია, არიან მმართველი პარტიის მხარდამჭერი ამომრჩევლებიც) .

2. მმართველი პარტიის მხარდამჭერი ამომრჩევლები.

3. პირველი ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერი ამომრჩევლები.

4. მეორე ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერი ამომრჩევლები.

ამ არაწრფივ მათემატიკურ მოდელში ყველა კოეფიციენ-ტი ცვლადია, აგრეთვე გათვალისწინებულია დემოგრა-ფიული ფაქტორიც.

დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას, რომელიც აღწერს აღნიშნულ არაწრფივ პროცესს, აქვს შემდეგი სახე:

$$\begin{cases} \frac{dN_1(t)}{dt} = (\alpha_1(t)-\alpha_2(t))N_1(t)N_2(t)+(\alpha_1(t)-\alpha_3(t))N_1(t)N_3(t)-\beta_1(t)N_1(t)+\gamma_1(t)N_1(t) \\ \frac{dN_2(t)}{dt} = (\alpha_2(t)-\alpha_1(t))N_1(t)N_2(t)+(\alpha_2(t)-\alpha_3(t))N_2(t)N_3(t)-\beta_2(t)N_2(t)+\gamma_2(t)N_2(t) \\ \frac{dN_3(t)}{dt} = (\alpha_3(t)-\alpha_1(t))N_1(t)N_3(t)+(\alpha_3(t)-\alpha_2(t))N_2(t)N_3(t)+\beta_1(t)N_1(t)+\beta_2(t)N_2(t)+\gamma_3(t)N_3(t) \end{cases}$$

(3.1)

განტოლებათა სისტემა (3.1) განიხილება შუალედში $t \in (0,T]$, ხოლო საწყისი (კოშის) პირობები $t=0$ მომენტში

$$N_{10} = N_1(0)\,, N_{20} = N_2(0)\,, N_{30} = N_3(0)\,. \qquad (3.2)$$

კოშის ამოცანის (3.1),(3.2) ამოხსნას ვეძებთ $t \in [0,T]$ სეგმენტზე უწყვეტად დიფერენცირებად ფუნქციათა კლასში

$$N_1(t), N_2(t), N_3[t] \in C^1[0,T]\,. \qquad (3.3)$$

განტოლებათა სისტემა (3.1) - ში:

$N_1(t), N_2(t), N_3(t) -$ შესაბამისად პირველი, მეორე ოპოზიციური და მმართველი პარტიების მხარდამჭერ ამომრჩეველთა რაოდენობაა დროის t მომენტში;

t=0 -- წინა არჩევნების მომენტია, როდესაც ერთ-ერთმა პარტიამ არჩევნები მოიგო და გახდა მმართველი პარტია;

t=T -- მომდევნო არჩევნების მომენტია (ხშირ შემთხვევაში T= 4 წელს ან 1460 დღეს);

$\alpha_1(t), \alpha_2(t), \alpha_3(t)$ - შესაბამისად პირველი, მეორე ოპოზიციური და მმართველი პარტიების ხმების მოზიდვის კოეფიციენტებია t მომენტში, რომლებიც დამოკიდებულია ამ პარტიების სამოქმედო პროგრამებზე, ასევე ფინანსურ, ინფორმაციულ და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე;

$\beta_1(t), \beta_2(t)$ - უწყვეტი დადებითი ფუნქციებია, რომლებიც განსაზღვრავენ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მასშტაბებს და მიმართულებები არიან პირველი და მეორე ოპოზიციური პარტიების ამომრჩევლებზე შესაბამისად მათი ხმების მოსაზიდად ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით;

$\gamma_1(t), \gamma_2(t), \gamma_3(t)$ -- შესაბამის მხარეების საარჩევნო დემოგრაფიული ცვლილებების გათვალისწინების კოეფიციენტებია.

სურათ 1-ზე შემოთავაზებულია აღწერილი პროცესის სქემატური აღწერა, ანუ პროცესის სცენარი.


სახელმწიფო
სტრუქტურები
პროცესის
განვითარების სცენარი
არჩევნებიდან
არჩევნებამდე
β_1
β_2
$N_3(t)$
γ_3
α_3
α_1
α_2
α_3
$N_1(t)$
$N_2(t)$
γ_1
γ_2
α_2
α_1

სურათი 1.

მესამე თავის პირველ პარაგრაფში განხილულია სამსუბიექტიანი არჩევნების არაწრფივი მათემატიკური მოდელი მუდმივი კოეფიციენტებით. კერძო შემთხვევისათვის, დემოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინების გარეშე, მიღებულია (3.1), (3.2) -ის ზუსტი ანალიზური ამონახსნი

$$\begin{cases} N_1(t) = \dfrac{\dfrac{(\alpha_1 - \alpha_3)a - \beta_1}{\alpha_1 - \alpha_3 + p(\alpha_2 - \alpha_3)} N_{10} e^{[(\alpha_1 - \alpha_3)a - \beta_1]t}}{\dfrac{(\alpha_1 - \alpha_3)a - \beta_1}{\alpha_1 - \alpha_3 + p(\alpha_2 - \alpha_3)} + N_{10}(e^{[(\alpha_1 - \alpha_3)a - \beta_1]t} - 1)} \\ N_2(t) = pN_1(t), p \equiv N_{20} / N_{10} \\ N_3(t) = a - (p+1)N_1(t), a \equiv N_{10} + N_{20} + N_{30} \end{cases} \quad (3.4)$$

ნაპოვნია პირობები, რომლის შესრულების შემთხვევაში მოდელი იქნება არატრივიალური. გაკეთებულია შესაბამისი გრაფიკული ილუსტრაციები.

მესამე თავის მეორე პარაგრაფში განხილულია სამსუბიექტიანი არჩევნების არაწრფივი მათემატიკური მოდელი ცვლადი კოეფიციენტებით. გათვალისწინე-ბულია ამომრჩეველთა გამოცხადების მოსალოდნელი მაჩვენებელი, ასევე გათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ, ნაკლებად დემოკრატიულ, ქვეყნებში არჩევნების დღეს ადგილი აქვს არჩევნების შედეგების გარკვეულ ფალსიფიცირებას.

მოდელში განიხილება ცვლადი კოეფიციენტების შემთხვევა, კერძოდ, ვვარაუდობთ, რომ არჩევნებიდან

არჩევნებამდე ამომრჩევლების ხმების მოზიდვის კოეფიციენტები, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტორი და დემოგრაფიული კოეფიციენ-ტები არიან დროის ექსპონენციალურად ზრდადი ფუნქციები.

მესამე თავის მესამე პარაგრაფში ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით კომპიუტერული მოდელირების მეშვეობით მიღებულია რიცხვითი ამოხსნები. გამოთვლებისათვის გამოყენებულ იქნა პროგრამული გარემო MATLAB. ჩატარებულია მრავლობითი რიცხვითი ექსპერიმენტი შესაბამისი გრაფიკული გამოსახვით (მაგალითად, ნახ.1, ნახ.2 - ში მოყვანილია პარტიების ამომრჩეველთა განსხვავებული აქტივობის, ფალსიფიცირების და დემოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინების კერძო შემთხვევები), გაკეთებულია მნიშვნელოვანი დასკვნები.

დისერტაციის ბოლოში მოყვანილია სამი **დანართი**, სადაც მოცემულია და აღწერილია სხვადასხვა პროგრამული კოდების ერთობლიობა, რომელთა საშუა-ლებითაც ჩატარებულია გათვლები და გაკეთებულია შესაბამისი გრაფიკული ილუსტრაციები.



k1=0.46 k2=0.38 k3=0.64 f1=0.24 f2=0.19
x 10^6
N3(T)<N1(T)+N2(T)
k3*N3(T)<k1*N1(T)+k2*N2(T)
k3*N3(T)>N1(T)f+N2(T)f
alfa1>alfa2>alfa3
beta1>beta2
0<gama1=gama2<gama3
t=T
N3(t)
N1(t)
N2(t)
N1(T)f
N2(T)f
xmebis raodenoba
dReebis raodenoba

ნახ.1



k1=0.6 k2=0.45 k3=0.45 f1=0.15 f2=0.05
x 10^6
N3(T)>N1(T)+N2(T)
k3*N3(T)<k1*N1(T)+k2*N2(T)
k3*N3(T)>N1(T)f+N2(T)f
alfa1>alfa2=alfa3
beta1>beta2
0<gama1=gama2<gama3
t=T
N3(t)
N1(t)
N2(t)
N1(T)f
N2(T)f
xmebis raodenoba
dReebis raodenoba

ნახ.2

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ ნაშრომებში

1. თ. ჩილაჩავა, ც. ძიძიგური, ლ. სულავა, მ. ჩაკაბერია ადმინისტრაციული ზეწოლის არაწრფივი მათემატიკური მოდელი. სოხუმის უნივერსიტეტის შრომები, ტ.VII, მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა სერია, სსუ გამომცემლობა, თბილისი, 2009, გვ. 169 – 180.
2. Chilachava T., Chakaberia M., Dzidziguri Ts., Sulava L. Nonlinear mathematical model of administrative pressure. Georgian mathematical union. First international Conference, Books of Abstracts. Batumi, September 12 – 19, 2010, pp. 74 – 75.
3. Чилачава Т.И., Дзидзигури Ц.Д., Сулава Л. О., Чакаберия М.Р. Об одной нелинейной математической модели административного управления. Тезисы докладов Международной конференции «Информационные и компьютерные технологии, моделирование, управление», посвященной 80-летию со дня рождения И.В.Прангишвили, 2010, стр.203– 204.
4. Чилачава Т.И., Сулава Л.О., Чакаберия М.Р. Об одной нелинейной математической модели управления. Проблемы управления безопасностью сложных систем. Труды XVIII Международной конференции, Москва, декабрь 2010, стр.492–496.
5. Чилачава Т.И., Сулава Л.О. Нелинейная математическая модель переменного административного управления. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. III, 2012, გვ. 234 – 244.

6. Чилачава Т.И., Сулава Л. О. Об одной нелинейной математической модели управления. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications, 2013, № 1(37), pp. 60 – 64.
7. Chilachava T.I., Sulava L.O. Nonlinear mathematical model of elections with variable coefficients. VI International Conference of the Georgian mathematical union, Book of Abstracts, Tbilisi - Batumi, 2015, p.97.
8. Сулава Л.О. Математическое и компьютерное моделирование нелинейных процессов выборов. Труды Международной конференции «Информационные и компьютерные технологии, моделирование, управление», посвященной 85-летию со дня рождения И.В.Прангишвили, Тбилиси, 2015, стр. 387 – 390..
9. Чилачава Т.И., Сулава Л.О. Математическое и компьютерное моделирование процессов выборов с двумя избирательными субъектами и переменными коэффициентами модели. Проблемы управления безопасностью сложных систем. Труды XXIII Международной конференции, Москва, 2015, стр. 356 - 359.
10. Chilachava T.I., Sulava L.O. Mathematical and computer modeling of nonlinear processes of elections with two selective subjects. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications, 2015, № 2(46), pp. 61 – 78.
11. სულავა ლ. ორსუბიექტიანი არჩევნების პროცესების მათემატიკური და კომპიუტერული

მოდელირება. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 2015, ტ. IX - X, გვ. 177 – 188.
12. Chilachava T.I., Sulava L.O. Three party nonlinear mathematical model of elections. VII International Conference of the Georgian mathematical union, Book of Abstracts, Batumi, 2016, pp.105-106.
13. Chilachava T.I., Sulava L.O. Mathematical and computer modeling of three-party elections. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications, 2016, № 2(48), pp.59 – 72.

LEPL SOKHUMI STATE UNIVERSITY

Faculty of Mathematics and Computer Sciences

The right of manuscript

Leila Sulava

Mathematical and computer modeling of nonlinear social processes

Abstract of presented dissertation for Ph.D. academic degree in Informatics

Tbilisi, 2016

Dissertation is fulfilled at the Faculty of Mathematics and Computer Sciences of the LEPL Sokhumi State University

Scientific adviser:	**Temur Chilachava** Doctor of Physical and Mathematical Sciences, professor of Applied Mathematics of the Sokhumi State University, Full member of the Academy Natural Sciences and Education of Georgia, Vice-president Tskhum-Abkhazian Academy of Science.
Experts:	**Zurab Gegechkori** Doctor of Mathematics, Associate Professor of Applied Mathematics of the Sokhumi State University. **Theodore Zarqua** Doctor of Engineering Informatics, Associate Professor of the Georgian Technical University.
Official reviewers:	**Hamlet Meladze** Doctor of Physical and Mathematical Sciences, Professor of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia. **Tamaz Obgadze** Doctor of Technical Sciences, Professor of Georgian Technical University, Head of Department of automation equipment and control systems, Full member of Academy of Engineering.

Dissertation will be presented at , 2016 at at the session of the Dissertation Commission of the Faculty of Mathematics and Computer Sciences of the LEPL Sokhumi State University

Address: 9 Ana Politkovskaya Str., IV floor, Presentation Room.

Dissertation Council Secretary,

of Applied Mathematics Associate Professor **Tsiala Dzidziguri**

